

2021 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი

2021 წლის 14 ივნისს დამტკიცდა ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელმა ანრის განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027წწ) და 2021 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმების განახლების საფუძველი იყოს სასწავლებლის საქმიანობის მიმართულებების შეცვლა, კერძოდ ბუსსს ანრი ჩამოყალიბდა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი.

ახალი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად ბუსსს ანრის იდენტიფიცირებული აქვს შვიდი ძირითადი მიზანი და თითოეულ მიზანში ჩაშლილია 15 ამოცანა, რომელთა უმეტესი ნაწილი შესრულებულია 2021 წლის 31 დეკემბრისთვის.

სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესასრულებლად შემუშავებული ბუსსს ანრის 2021 წლის სამოქმედო გეგმის ღონისძიებების 29 ამოცანიდან სრულად შესრულდა 20, ნაწილობრივ შესრულდა 5, ხოლო ვერ შესრულდა 4 ამოცანა. აქედან გამომდინარე 2021 წლის სამოქმედო გეგმა შესრულებულია 68.9%.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელი დაწესებულებისთვის კრიზისული წელი იყო, რადგან უარი ეთქვა უსდ-ს ავტორიზაციაზე, დროებით შეუჩერდა პსდ-ს ავტორიზაცია, უმოკლეს ვადაში მოგვიხდა გადაწყობა სრული სტრუქტურის და ნორმატიული ბაზის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრად. ყოველივე ამას ემატებოდა რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. ამ გარემოებებმა იმოქმედა იმაზე, რომ ზოგიერთი დაგეგმილი ამოცანა ვერ შესრულდა ან ნაწილობრივ შესრულდა, თუმცა, შეუსრულებელი ამოცანები არ დარჩება უყურადღებოდ, ისინი გათვალისწინებული იქნება 2022 წლის სამოქმედო გეგმაში.

ასევე თუ შევადარებთ 2020 წლის სამოქმედო გეგმის ანალიზს ბუსსს ანრის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიებების 97 პუნქტიდან შესრულებულდა 89. შეუსრულებელი დარჩა 8 პუნქტი, აქაც მთავარი მიზეზი პანდემია იყო, მაშასადამე 2020 წლის სამოქმედო გეგმა შესრულებულია 91, 75 %-ით. ხოლო 2021 წლის გეგმა შესრულებულია 93% -ით და ნაწილობრივ შერულდა 3.25% ით.

2021 წლის 14 ივნისს დამტკიცებული 2021 წლის სამოქმედო გეგმის ამონაწერი

№	ამოცანები და განხორციელების მექანიზმები	პასუხისმგებელი და შემსრულებელი	შესრულების პერიოდი	შესრულების ინდიკატორი	შესრულების სტატუსი
მიზანი 1 ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარება					
1	სწავლისა და სწავლების, წვრთნის და მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ღია ლექციების, საწვრთნელი კურსების პრეზენტაციები, შიდა ტრენინგების, მასტერკლასების, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	ხარისხის სამსახური; პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები; მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი; ინსტრუქტორები,	ივნისი-დეკემბერი	ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულებები, ფოტომასალა და ჟურნალი 05-101	ნაწილობრივ შესრულდა სასწავლებელში, მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად ტარდება საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, თუმცა პროფესიული განათლების მიმართულებით იყო ავტორიზაციის წყვეტა (3 თვით) შესაბამისად

		პროფესიული პედაგოგები			შეჩერებული იყო პროცესები, ღონისძიებები, აქტივობები.
2	პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტების შინაარსის დახვეწა, კონკრეტული კომპონენტის გაუქმება ან/და ახალი კომპონენტების შემუშავება და დამატება	ხარისხის სამსახური; პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები	იენისი	პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული კომპონენტები	შესრულებულია რეაგტორიზაციის პირობებში განახლდა პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია და საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია, ორივე პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 18 თვე შემცირდა 14 თვემდე.
3	მეზღვაურთა წვრთნის და სერთიფიცირების კურსების პროგრამების პერიოდული გადახედვა, გაუმჯობესება, ცვლილებების შეტანა, განახლება	ხარისხის სამსახური; მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორები	იენისი-დეკემბერი	პროგრამების პერიოდული შემოწმების ფურცელი; განახლებული, შეცვლილი პროგრამები	შესრულებულია განახლდა 3 პროგრამა; რეალიზება მიიღო 18 პროგრამამ; ცვლილება შეტანილია 14 პროგრამაში; შემუშავდა 1 ახალი პროგრამა
4	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ლექციებზე პროფესიული პედაგოგების ურთიერთდასწრება	პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი; პროფესიული მოდულური	იენისი-დეკემბერი	პროფესიული პედაგოგების ურთიერთდასწრების გეგმა; ურთიერთდასწრების აქტები	შესრულებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მტკიცდება პროფესიული განათლების მასწავლებლების ურთიერთდასწრების გეგმა გრაფიკი, რომლის

		საგანმანათლებლო პროგრამების პედაგოგები			მიხედვითაც ხდება ურთიერთდასწრება, რის შემდეგაც ივსება ურთიერთდასწრების აქტები
5	მეზღვაურთა საწვრთნელ კურსებზე ინსტრუქტორების ურთიერთდასწრება	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი; მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორები	იენისი-დეკემბერი	პროფესიული პედაგოგების ურთიერთდასწრების გეგმა; ურთიერთდასწრების აქტები	შესრულებულია ყოველი წლის დასაწყისში მტკიცდება ინსტრუქტორების ურთიერთდასწრების გეგმა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ხდება ურთიერთდასწრება, რის შემდეგაც ივსება ურთიერთდასწრების აქტები
6	პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	ნოემბერი-დეკემბერი	კმაყოფილების კვლევების ანალიზი	შესრულებულია ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა. გაკეთდა კმაყოფილების კვლევის ანალიზი
7	მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელების და ინსტრუქტორების კმაყოფილების კვლევის ჩატარება	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	ნოემბერი-დეკემბერი	კმაყოფილების კვლევების ანალიზი	შესრულებულია ჩატარდა მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელების და ინსტრუქტორების გამოკითხვა. გაკეთდა კვლევის ანალიზი
8	მეზღვაურთა წვრთნისა და	გენერალური	იენისი-	ინსტრუქტორად	შესრულებულია

	სერთიფიცირების ცენტრში ახალგაზრდა ინსტრუქტორების მოზიდვა	დირექტორი; ადამიანური რესურსების სპეციალისტი; პიარ-მენეჯერი	დეკემბერი	დასაქმებული ახალგაზრდა კადრი; ინსტრუქტორის პირადი საქმე;	2021 წლის აყვანილია 4 ახალი ინსტრუქტორი
9	მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის განვითარების მიზნით პერსონალის, ინსტრუქტორების, პროფესიული პედაგოგების გადამზადება სხვადასხვა ტრენინგებზე	გენერალური დირექტორი; ადამიანური რესურსების სპეციალისტი; პიარ-მენეჯერი	ივნისი-დეკემბერი	პერსონალის, პროფესიული პერსონალის, მათ შორის პროფესიული პედაგოგებისა და ინსტრუქტორების განვითარების გეგმები; ტრენინგების ფოტომასალა; ტრენინგის სერტიფიკატი, არსებობის შემთხვევაში	შესრულებულია სასწავლებელი აფინანსებს დასაქმებულის მაგისტრატურის სწავლის საფასურს. ასევე სასწავლებლის დაფინანსებით სამმა თანამშრომელმა - რუსუდან დიასამიძე - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მონიკა დიასამიძე - ადამიანური რესურსების სპეციალისტი (სტაჟიორი) ვლადიმერ ბოგდანოვი - მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის ხარისხის სპეციალისტი Russian Register Academy "ISO 9001:2015" "ხარისხის მენეჯმენტის სისტემები. მოთხოვნები. ძირითადი ცვლილებები" ასევე 2021 წლის 10-11 ივლისს საერთაშორისო

					<p>გაყიდვების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „მოლაპარაკება და მართვა“ ბუსსს ანრის დაფინანსებით გაიარა ოთხმა თანამშრომელმა (რუსუდან დიასამიძე - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლია ფარტენაძე - განათლების ხარისხის სპეციალისტი მაია დავითიანი - სასწავლო პროცესის სპეციალისტი ნათია დიასამიძე - ადამიანური რესურსების მენეჯერი)</p>
10	<p>დისტანციური სწავლების განვითარების მიზნით ახალი პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების და საწვრთნელი კურსების პროგრამების შემუშავების საჭიროების შესწავლა (ბაზრის კვლევა, დაინტერესებულ მხარეთა კვლევა), პროფესიული განათლების დეპარტამენტის და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ინიციატივების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება</p>	<p>გენერალური დირექტორი;</p> <p>ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>ნოემბერი-დეკემბერი</p>	<p>ბაზრის კვლევის ანალიზი, დაინტერესებულ მხარეთა კვლევის ანალიზი; დეპარტამენტის და ცენტრის ინიციატივები; გადაწყვეტილებები</p>	<p>ნაწილობრივ შესრულდა</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის კვლევის ჩატარების მცდელობის დროს, არც ერთმა სასწავლო დაწესებულებამ სტატისტიკური ინფორმაცია არ მოგვაწოდა, ხოლო, რაც შეეხება პროფესიული განათლების დეპარტამენტის და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ინიციატივები</p>

					აქტიურად განიხილება სამუსაო შეხვედრების დროს დაწესებულებაში.
მიზანი 2					
განათლების და წვრთნის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება					
11	გაუმჯობესების მიზნით საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გადახედვა	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	ნოემბერი-დეკემბერი	შიდა კვლევებია ანალიზები; ხმს ანალიზი	შესრულებულია გაკეთდა ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი, ჩატარდა სხვადასხვა სახის შიდა გამოკითხვა. კერძოდ, დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა, ინსტრუქტორთა კმაყოფილების კვლევა, მსმენელთა კმაყოფილების კვლევა, მეზღვაურთა წვრთნისა სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორთა საჭიროების დადგენა, კურსის განვითარებისა და სრულყოფისათვის.
12	სწავლების, მომზადების და წვრთნის თანამედროვე მეთოდების გამოყენება სწავლების და წვრთნის პროცესებში	ხარისხის სამსახური; პროფესიული მასწავლებლები; პროგრამების ხელმძღვანელები; წვრთნისა და სერთიფიცირების ინსტრუქტორები	ივნისი-დეკემბერი	სტანდარტებზე შესაბამისობა; ღია ლექციების ჩატარება; პროფესიული პედაგოგებისა და ინსტრუქტორების ურთიერთდასწრება; შიდა მასტერ-კლასები	შესრულებულია მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორებმა თავიათი პროგრამის ფარგლებში ჩაატარა პრეზენტაციები, სასწავლო პროცესის მენეჯერმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

					2021 წლის 16 ივნისს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაციის მიერ გაიმართა ტრენინგი: "სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტუდენტთა მოტივაცია."
--	--	--	--	--	---

მიზანი 3
პროფესიული სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს განვითარება და მათი უფლებების დაცვა

13	სტუდენტური სერვისების განვითარება: საკონსულტაციო მომსახურება; სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიულ სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა, პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუდენტური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა და დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერა	ხარისხის სამსახური; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	აგვისტო-დეკემბერი	სასწავლებელში, პროფესიული სტუდენტების სრულფასოვანი ინტეგრაცია, სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარება, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუდენტური	შესრულებულია პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულების მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ: პროფესიულ სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა, პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუდენტური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა ,
-----------	--	---	--------------------------	--	--

				ცხოვრების განვითარება; დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარება	დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერა სოციალურად დაუცველთა ფინანსური მხარდაჭერა და შეღავათები.
14	სტუდენტური გაუმჯობესება: საჯარო სერვისების ორგანიზება; სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესება	გენერალური დირექტორი პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	იენისი-დეკემბერი	საჯარო ლექციების ფოტო მტკიცებულება; კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებები; სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცის გაუმჯობესების ფოტო მტკიცებულება	ნაწილობრივ შესრულებულია სასწავლებელში მოწყობილია სტუდენტური სივრცე, სისტემატიურად მიმდინარეობს სერვისების გაუმჯობესება, ავტორიზაციის წყვეტის გამო ვერ მოხერხდა საჯარო ლექციების ჩატარება, თუმცა საჯარო ლექციების ორგანიზება მოხდება აქხალი მიღებისთვის.
15	პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული და პიროვნული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების/კურსების/პროგრამების/ღონისძიებების მოთხოვნათა კვლევა და ორგანიზება	ხარისხის სამსახური; ადამიანური რესურსების სპეციალისტი; პროფესიული განათლების დეპარტამენტი; წვრთნისა და სერტიფიცირების	იენისი-დეკემბერი	ტრენინგების/კურსები ს/პროგრამების/ღონის ძიებების მოთხოვნათა კვლევის ანალიზი; ჩატარებული ატივობების/ღონისძიებების ფოტო მტკიცებულება	ვერ შესრულდა ავტორიზაციის წყვეტის გამო, ვერ განხორციელდა, შესაბამისად გადავა 2022 წლის სამოქმედო გეგმაში

		ცენტრის უფროსი			
16	პროფესიული სტუდენტებისთვის ექსკურსიების მოწყობა	ხარისხის სამსახური; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	ივლისი-დეკემბერი	პროფესიული სტუდენტებისთვის გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობის ფოტომტკიცებულება	ვერ შესრულდა პანდემიისა და ავტორიზაციის წყვეტის გამო, შესაბამისად გადავა 2022 წლის სამოქმედო გეგმაში
17	პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული კონფერენციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობაში ხელშეწყობა	ხარისხის სამსახური; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი	აგვისტო-ნოემბერი	პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული კონფერენციების შესახებ მიწოდებული ინფორმაცი დაწესებულების ვებგვერდისა და სოც.ქსელის მეშვეობით მონაწილეობის ფოტომტკიცებულება	შესრულებულია პროფესიულ სტუდენტებს მუდმივად მიწოდება ყველა ახალი ინფორმაცია სასწავლებლის ვებგვერდის, სოც.ქსელის და შიდა ჩატების მეშვეობით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი მხრიდან არ არის სურვილი და ინტერესი.
18	პროფესიულ ინფორმირების სტუდენტთა მექანიზმების გაუმჯობესება მათი	პროფესიული განათლების დეპარტამენტის	ივლისი-დეკემბერი	პროფესიულ სტუდენტთათვის დაწესებულების	შესრულებულია პროფესიული სტუდენტებისთვის

	<p>უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა</p>	<p>უფროსი;</p> <p>პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; იურიდიული განყოფილების უფროსი; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების უფროსი</p>		<p>შინაგანაწესის, მისიის, ეთიკის კოდექსის, პროფესიული სტუდენტების უფლებების და კანონიერი ინტერესების გაცნობა</p>	<p>სასწავლო წლის დაწყებისთანავე იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მათ აცნობენ დაწესებულების შინაგანაწესს, მისიას, ეთიკის კოდექსს, პროფესიული სტუდენტების უფლებებს და კანონიერ ინტერესებს; შეხვედრები ტარდება კიტხვა-პასუხის რეჟიმში.</p>
<p>19</p>	<p>სტუდენტთა სოცილური მხარდაჭერის ღონისძიებები: საერთო საცხოვრებლით სარგებლობა; სწავლის საფასურზე ფასდაკლება; საწვრთნელი კურსების ფასდაკლებით გავლა</p>	<p>გენერალური დირექტორი;</p> <p>პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვის და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება; იურიდიული განყოფილების უფროსი; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილების</p>	<p>აგვისტო-დეკემბერი</p>	<p>სოციალურად მოწყვლადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები და სწავლის საფასურის ხელმისაწვდომობა</p>	<p>შესრულებულია</p> <p>სასწავლებელში შემუშავებულია სოციალურად მოწყვლადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები, სადაც გაწერილია სოცილური მხარდაჭერის ღონისძიებები: საერთო საცხოვრებლით სარგებლობა; სწავლის საფასურზე ფასდაკლება; საწვრთნელი კურსების ფასდაკლებით გავლა და ა. შ.</p>

		უფროსი			
მიზანი 4 ორგანიზაციული განვითარება					
20	პერსონალის მიერ თანამდებობრივი ფუნქციების, მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი გარემოს რეგულარული განახლება-ადაპტირება	გენერალური დირექტორი; ადამიანური რესურსების სპეციალისტი; სამეურნეო განყოფილების უფროსი	აგვისტო-დეკემბერი	საინფორმაციო შეხვედრები; ფუნქციონალური მოვალეობები	შესრულებულია სისტემატიურად მიმდინარეობს მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება, დაემატა კომპიუტერული კლასი, შეიქმნა ლინგაფონის კაბინეტი. ეტაპობრივად მიმდინარეობს შენობა ნაგებობის კაპიტარური რემონტი
21	თანამშრომლების მოტივაციის ამაღლების მიზნით თიმბილდინგისა (ექსკურსიები) და კორპორატიული ღონისძიებების ორგანიზება	გენერალური დირექტორი; ადამიანური რესურსების სპეციალისტი	სექტემბერი-ოქტომბერი	თიმბილდინგისა (ექსკურსიები) და კორპორატიული ღონისძიებების ფოტომასალა	ვერ შესრულდა პანდემიის გამო. შესაბამისად გადავა 2022 წლის სამოქმედო გეგმაში
22	სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება, ანგარიშების წარდგენა	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	დეკემბერი	სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება, ანგარიშები; ანალიზი	შესრულებულია ყველა სტრუქტურული ერთეული ყოველ თვეში, ექვს თვეში ერთხელ და ყოველი წლის ბოლოს ხარისხის სამსახურს წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შესახებ.
23	ცნობადობის გაზრდა: ორგანიზაციებისა და ასოციაციების	გენერალური დირექტორი;	იანვარი-დეკემბერი	ორგანიზაციებისა და ასოციაციების	ვერ შესრულდა პანდემიის პირობებში ვერ

	წევრობის უზრუნველყოფა; საშუალო სკოლებში მოსწავლეებისათვის პრეზენტაციების მოწყობა; სასწავლებლის ოფიციალური ვებგვერდის მუდმივი განახლება. მიმდინარე ღონისძიებების საინფორმაციო უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დახვეწა და დანერგვა.	საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება; საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის განყოფილება		წევრობის სერტიფიკატები; საშუალო სკოლებში მოსწავლეებისათვის პრეზენტაციების ფოტომასალა; სასწავლებლის ოფიციალური ვებგვერდი; სოც.ქსელი.	მოხერხდა სკოლებში პრეზენტაციების ჩატარება. თუმცა, აქტიურად მუშაობს დაწესებულების განახლებული ვებ გვერდი და ფეისბუქ გვერდი.
24	სტრატეგიული ამოცანების შესრულების ყოველწლიური შეფასების შედეგების ანალიზი, პრობლემების გამოკვეთა	გენერალური დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური	დეკემბერი	ხმს ანალიზი	შესრულებულია ერთი, ექვსი და თორმეტი თვის სტრუქტურული ერთეულების ანგარიშის მიხედვით კეთდება ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
მიზანი 5					
პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით					
25	პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	გენერალური დირექტორი; ხარისხის სამსახური	დეკემბერი	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანალიზი	შესრულებულია დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმა, რომელსაც ყოველი პროგრამის დასრულებისას ავსებს პროგრამის ხელმძღვანელები და წარუდგენს ხარისხის სამსახურს
მიზანი 6					

პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის გაუმჯობესება

26	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გააქტიურება საწარმოო პრაქტიკის ბაზის და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით	გენერალური დირექტორი; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	იენისი-დეკემბერი	დამსაქმებლებთან პერიოდული შეხვედრების ფოტომტკიცებულება; დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა	შესრულებულია დამსაქმებლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები, განახლდა მათთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები.
27	საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით თანამშრომლობის გაძლიერება პოტენციურ დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან	გენერალური დირექტორი; პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება	იენისი-დეკემბერი	დამსაქმებლებთან პერიოდული შეხვედრების ფოტომტკიცებულება; დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა	შესრულებულია დამსაქმებლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები, განახლდა მათთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები.

მიზანი 7

მეზღვართა საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება

28	არსებული ტრენაჟორული, სტენდური და კომპიუტერული დანადგარების, კომპიუტერული სასწავლო პროგრამების და საგამოცდო ტესტების განახლება	გენერალური დირექტორი; წვრთნისა და სერტიფიცირების ხარისხის სპეციალისტი; საფინანსო განყოფილება; სამეურნეო განყოფილება	იენისი-დეკემბერი	არსებული ტრენაჟორული, სტენდური და კომპიუტერული დანადგარების, კომპიუტერული სასწავლო პროგრამების და საგამოცდო ტესტების განახლების მტკიცებულებები:	შესრულებულია განახლდა ETM ტრენაჟერი. გამოცდები მიმდინარეობს ელ. მოდულის გამოყენებით. ჩვენს მიერ შემუშავებული ტესტები გადაიხედა და გადაეგზავნა საზღავო ტრანსპორტის სააგენტოს ელექტრონულ მოდულში ასატვირთად.
----	--	--	------------------	---	--

				შესყიდვის ატები, ფოტოები	
29	ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლება	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი; ადამიანური რესურსების სპეციალისტი	ივნისი-დეკემბერი	განვითარების გეგმა; ტრენინგების ფოტოები; სერტიფიკატები, არსებობის შემთხვევაში	შესრულებულია ყველა მოქმედ ინსტრუქტორს გავლილი აქვს აუცილებელი ტრენინგი, ასვე დაწესებულება აფინანსებს ინსტრუქტორების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს.

